სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *მიხეილ ჯინჯოლიას* შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	✓

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	18	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	17	20
წერის უნარი	18	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	14	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	14	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	4	5
პროფესიული აქტივობა	4	5
ქულათა ჯამი	**89**	**100**

სახელი, გვარი: ნინო ქადაგიძე

თარიღი: 14.04.2025 წ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

ნინო ქადაგიძე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 30 დეკემბრის №1/161 გადაწყვეტილებით დაწყებულ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაში მონაწილე კანდიდატის - მიხეილ ჯინჯოლიას

შ ე ფ ა ს ე ბ ა

1. პროცედურის შესახებ:

1.1. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს (შემდგომში - საბჭო) 2024 წლის 30 დეკემბრის №1/161 განკარგულებით, დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა უზენაესი სასამართლოს მოსამართლის ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლეობის კანდიდატის შესარჩევად.

1.2. საბჭოს 2025 წლის 5 თებერვლის №1/14 განკარგულებით, მითითებულ პროცედურაში კანდიდატად დარეგისტრირდა 8 პირი, მათ შორის - მიხეილ ჯინჯოლია.

1.3. საბჭოს შესაბამისმა სამსახურმა, ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის (შემდგომში - ორგანული კანონი) 34^2 მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა ინფორმაცია პროცედურაში მონაწილე კანდიდატთა შესახებ, რომელიც გასაცნობად წარმოგვედგინა საბჭოს წევრებს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-9 პუნქტით დადგენილი წესით. აღნიშნულ ინფორმაციას გავეცანი დეტალურად.

1.4. საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ კანდიდატთა შეფასების წესი განსაზღვრულია ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით;

1.5. კანდიდატი შევაფასე ორგანული კანონის 35^1 მუხლით განსაზღვრული კეთილსინდისიერების კრიტერიუმის 5 (ხუთი) მახასიათებლის მიხედვით და, ორგანული კანონის 35^1 მუხლის მე-15 პუნქტის საფუძველზე, ამ მახასიათებელთა ანალიზისა და შეჯერების საფუძველზე, შევადგინე საბოლოო დასკვნა კანდიდატის კეთილსინდისიერების შესახებ. ყოველი მახასიათებლის მიხედვით შეფასება დავაფუძნე კანონმდებლობით განსაზღვრული ცალკეული კომპონენტების ანალიზსა და შეჯერებას, შემდეგნაირად: თუ კანდიდატი ყველა ამ კომპონენტის მიმართ დადებითად შეფასდა, გავაკეთე დასკვნა, რომ კანდიდატი ,,სრულად აკმაყოფილებს" მახასიათებელს; თუ

კომპონენტებიდან არაუმეტეს ორის მიმართ შეფასება უარყოფითი იყო, გავაკეთე დასკვნა, რომ კანდიდატი ,,აკმაყოფილებს" მახასიათებელს; ხოლო თუ სამი ან მეტი კომპონენტის შეფასება აღმოჩნდა უარყოფითი, მივიჩნიე, რომ კანდიდატი ,,არ აკმაყოფილებს" მახასიათებელს.

1.6. კანდიდატი შევაფასე კომპეტენტურობის კრიტერიუმის 7 (შვიდი) მახასიათებლის მიხედვით, თითოეული მახასიათებლისათვის ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-17 პუნქტით განსაზღვრული ქულების მინიჭების და თითოეული ამ ქულის დასაბუთების გზით.

I. ნაწილი ინფორმაცია კანდიდატის შესახებ

სახელი, გვარი - მიხეილ ჯინჯოლია

ასაკი: 37 წლის

განათლება: სამართლის მაგისტრი

სპეციალობით მუშაობის გამოცდილება: 14 წელი

სამუშაო ადგილი: თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე.

II. მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით

<u>კეთილსინდისიერების კრიტერიუმებით</u> მოსამართლეობის კანდიდატის, მიხეილ ჯინჯოლიას შეფასებისას გავითვალისწინე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლით დადგენილი მახასიათებლები:

21. პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი;
22. დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა;
23. პიროვნული და პროფესიული ქცევა;
24. პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია;
25. ფინანსური ვალდებულება.

1. პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის მახასიათებელი

- კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება პირის, როგორც მოსამართლისა და მოქალაქის პატიოსნება, კეთილსინდისიერება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის

შესაბამისი შეგნება, სიმართლისმოყვარეობა, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი თუ სხვა მოვალეობების, ფინანსური თუ სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად, ქონებრივი დეკლარაციის შევსებისას, ბანკის ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა გადასახადის გადახდისას, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის გადახდისას) და სხვა.

მოძიებული ინფორმაციის თანახმად:

- - რეკომენდატორები გამოთქვამენ მოსაზრებებს კანდიდატის კეთილსინდისიერებასა და კომპეტენტურობაზე. გამოარჩევენ კანდიდატის პრინციპულობას, შრომისმოყვარეობას, კეთილსინდისიერებას, შინაგან კულტურას, კომპეტენციას, პასუხისმგებლობის გრძნობის უნარს და მოსამართლის სტატუსისათვის შესაფერის სხვა აუცილებელ თვისებებს.
- გამოკითხული რესპოდენტები კანდიდატის პირად თვისებებს და პროფესიულ საქმიანობას იცნობენ კარგად. რესპოდენტების აზრით, კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. კომპეტენტურობის კრიტერიუმით რესპოდენტები კანდიდატს აფასებენ ძალიან კარგად.

- მიხეილ ჯინჯოლიას სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება, აქვს მიმდინარე სესხი და დადებითი საკრედიტო ისტორია. წარმოდგენილი ინფორმაციით არ იკვეთება კანდიდატის სხვა შეუსრულებელი ვალდებულების არსებობის ფაქტი. დეკლარაციის შევსებისას კანონის მოთხოვნის დარღვევის ფაქტი გამოვლენილი არ არის.

- კანდიდატს უფიქსირდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის 4 ფაქტი. კანდიდატის მიმართ შედგენილია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ორი ელექტრონული საჯარიმო ქვითარი. დაკისრებული სანქციები გადახდილია დროულად.

წარმოდგენილი და შესწავლილი ინფორმაცია მაძლევს საფუძველს, კეთილსინდისიერების მითითებულ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო დადებითად.

<u>2. დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას</u> - გაითვალისწინება მისი პრინციპულობა, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი და ზეგავლენის მიმართ მედეგობა, პიროვნული სიმყარე და შეუვალობა, პოლიტიკური ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობა, სამართლიანობა და სხვა.

მოძიებული ინფორმაციის თანახმად, კანდიდატი არ ყოფილა რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი და შემომწირველი. ამასთან, გასაუბრების შედეგად კანდიდატს არ გამოუვლენია რაიმე სახის ტენდენციური დამოკიდებულება ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფის მიმართ.

კანდიდატი არის მედეგი, პრინციპული, მიუკერძოებელი და სამართლიანი, **რაც მაძლევს საფუძველს, კეთილსინდისიერების მითითებულ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო დადებითად.**

<u>3. პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას</u> - გაითვალისწინება მის მიერ სამოსამართლო ეთიკის დაცვა, მისი კორექტულობა კოლეგებთან და სხვა პირებთან ურთიერთობისას, მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევა და იმიჯი, თავდაჭერილობა, საკუთარი ემოციების მართვის უნარი, ქცევა მის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების მიმდინარეობისას, მხარედ მისი მონაწილეობით სასამართლოში წარმართული დავები, მის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი ბრალდებების არსებობა და სხვა.

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურისა და ეთიკის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, მიხეილ ჯინჯოლიას მიმართ დისციპლინური დევნა არ დაწყებულა.

საქართველოს საერთო სასამართლოებში წარმოებულ დავებში მოსამართლეობის კანდიდატ მიხეილ ჯინჯოლიას მხარედ მონაწილეობის თაობაზე ინფორმაცია ელექტრონული საქმისწარმოების საძიებო სისტემაში ვერ იქნა მოძიებული.

საქართველოს გენერალური პროკურატურის ინფორმაციით, დაზარალებულად ცნობასთან დაკავშირებით, კანდიდატის მიმართ ინფორმაცია არ მოიპოვება.

ზემოაღნიშნული მაძლევს საფუძველს, კეთილსინდისიერების მითითებულ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო დადებითად.

<u>4. პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას</u> - მხედველობაში მიიღება მისი საქმიანი და მორალური რეპუტაცია, ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში, იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათი და ხარისხი და სხვა.

მნიშვნელოვანია, რომ კანდიდატი სარგებლობს კარგი პიროვნული და პროფესიული რეპუტაციით კოლეგებს შორის. გამოკითხული რესპონდენტები კანდიდატს ახასიათებენ ძალიან კარგად, **რაც მაძლევს საფუძველს, კეთილსინდისიერების მითითებულ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო დადებითად.**

5. ფინანსური ვალდებულებების მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება ინფორმაცია მისი შემოსავლის წყაროს, აქტივების, საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებული ქონების და ამ ქონებისა და შემოსავლის შესაბამისი ვალისა და ვალდებულების შესახებ.

ფინანსური ვალდებულებების შემოწმებისას არ გამოვლენილა ის შესაძლო საფრთხეები, რამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კანდიდატის რეპუტაცია, ამდენად, ამავე მახასიაებელში კანდიდატი უნდა შეფასდეს დადებითად.

ზემოაღნიშნული მახასიათებლების ანალიზისა და შეჯერების შედეგად მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

III. მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

კომპეტენტურობის კრიტერიუმით მოსამართლეობის კანდიდატის, მიხეილ ჯინჯოლიას შეფასებისას გავითვალისწინე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი მახასიათებლები:

29. სამართლის ნორმების ცოდნა;
30. სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;
31. წერის უნარი;
32. ზეპირი კომუნიკაციის უნარი;
33. პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში;
34. აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;
35. პროფესიული აქტივობა.

1. სამართლის ნორმების ცოდნის მახასიათებელი

ჩემ მიერ შეფასებულ იქნა კანდიდატის მონაწილეობით განხილული საქმეები, მათ შორის:

- თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 8 მაისის N1/5796-22 განაჩენი;
- თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 15 ივნისის N1/6857-22 განაჩენი;
- თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 20 ოქტომბრის N1/996-23 განაჩენი.

გასაუბრების პროცესში კანდიდატმა გამოავლინა სისხლის სამართლის კანონმდებლობისა და ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრეცედენტული სამართლის კარგი ცოდნა.

კანდიდატმა სრულად და ამომწურავად ისაუბრა დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ინსტიტუტზე, იმსჯელა ე.წ. ,,ოქროს ხიდის" პრინციპზე; ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის კონტექსტში, ისაუბრა დანაშაულის პროვოკაციაზე.

კვალიფიკაციის კუთხით, ისაუბრა ,,ქურდული სამყაროს" წევრობას და ,,კანონიერ ქურდობას" შორის არსებულ ზღვარზე. ასევე, კვალიფიკაციის მოზნებიდან გამომდინარე, მოახდინა დიფერენცირება ქრთამის აღებასა და ზეგავლენით ვაჭრობას შორის.

კანტიდატმა იმსჯელა ე.წ. ,,მოწამლული ხის ნაყოფის პრინციპზე" და ამავე პრინციპის დაცვის მნიშვნელობიდან გამომდინარე, შეეხო მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხს; არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსზე მითითებით ისაუბრა არასრულწლოვანთათვის სასჯელის დანიშვნის თავისებურებაზე; შეეხო დაზარალებულის დაცვის საპროცესო გარანტიებს.

კანდიდატმა ისაუბრა დანაშაულის განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილ მკვლელობად კვალიფიკაციის ობიექტურ და სუბიექტურ მახასიათებლებზე; კანდიდატმა იმსჯელა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების წესსა და პროცედურაზე; შეეხო სასამართლო რეფორმირების ცალკეულ ეტაპებს.

რაც მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - 18 ქულით.

2. სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებელი

მიხეილ ჯინჯოლიას გააჩნია მოსამართლედ მუშაობის 4 წლიანი გამოცდილება. კანდიდატი გადაწყვეტილებებში ავითარებს ლოგიკურ მსჯელობას, აზრის ჩამოყალიბებისა და ასახვის პროცესში არის მწყობრი და თანმიმდევრული. გადაწყვეტილება ეფუძნება საპროცესო კოდექსის მოთხოვნებს.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - 17 ქულით.

3. წერის უნარის მახასიათებელი

როგორც უკვე აღინიშნა, კანდიდატი გადაწყვეტილებებში ავითარებს ლოგიკურ მსჯელობას, მისი გადაწყვეტილებები არის სტრუქტურირებული. გადაწყვეტილებებში ძირითადად დაცულია პუნქტუაციისა და მართლწერის წესები.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - 18 ქულით.

4. ზეპირი კომუნიკაციის უნარის მახასიათებელი

კანდიდატი აზრს აყალიბებს ნათლად და გასაგებად, ამავდროულად გააჩნია მოსმენის კარგი კულტურა.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - 14 ქულით.

5. პროფესიული თვისებების, მათ შორის, სასამართლო დარბაზში ქცევის, მახასიათებელი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მენეჯმენტის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად:

- საქმის განხილვის საპროცესო ვადების დაცვა: ვადის დაცვით - 100%
- გადაწყვეტილების მომზადების ვადების დაცვა: ვადის დაცვით - 100%
- გასაჩივრებული გადაწყვეტილებათა სტაბილურობა - უცვლელი 96,3%, შეცვლილი 3,7%
- საანგარიშო პერიოდში (990 დღე) მოსამართლეს დასრულებული აქვს 5203 საქმე.

აღნიშნული ინფორმაცია ადასტურებს, რომ კანდიდატი სწორად ახორციელებს საქმეთა ნაკადის მართვას.

კანდიდატის მხრიდან მხარეებისა და პროცესის მონაწილეთა მიმართ უდიერი ან არაკორექტული დამოკიდებულება გამოვლენილი არ არის.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - 14 ქულით.

6. აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის მახასიათებელი

წარმოდგენილი ინფორმაციით დასტურდება, რომ მიუხედავად საქმეთა სიმრავლისა, კანდიდატი აქტიურად ესწრება სხვადასხვა ტრენინგებს და სასწავლო კურსებს, აქვს ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი. კანდიდატს აკადემიური მიღწევები არ აქვს.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - 4 ქულით.

7. პროფესიული აქტივობის მახასიათებელი

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, კანდიდატი სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით მონაწილეობს არაერთ შეხვედრასა თუ დისკუსიაში. კანდიდატი არ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - 4 ქულით.

ზემოაღნიშნული მახასიათებლების ანალიზისა და შეჯერების შედეგად, კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით კანდიდატს ჯამში ვაფასებ - 89 ქულით.

სახელი, გვარი: ნინო ქადაგიძე

თარიღი: 14.04.2025 წ.